MES 4 22 0001362076

26/10/2022

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 11 ოქტომბერი 2022
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 17:58 სთ
სხდომის თავმჯდომარე: ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი
სხდომის მდივანი: დავით ტეფნაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარის მადგილე;**
2. **ერეკლე ასტახიშვილი - შპს "თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის" პროფესორი, სსიპ - შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე;**
3. **ანზორ ბერიძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში;**
4. **ირინა გველესიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;**
5. **თამარ ზარანდია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი;**
6. **მაკა კაჭარავა - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;**
7. **ირინა ლობჟანიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;**
8. **თეა მჭედლური - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესოტი;**

9. ეკატერინე ნაცვლიშვილი - შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
10. დავით ტეფნაძე - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი);
11. ეკატერინე შაკიაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
12. დავით ჩოჩიშვილი - სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
13. ნინო ჭალაგანიძე - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
14. გურანდა ჭელიძე - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" პროფესორი.

სხდომაზე დამსწრე პირები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	**დავით ბურჯანაძე**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
2	**ანა ჯუღელი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი
3	**ლალი ოდიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლოდაწესებულებისდასახელება	სტატუსი	საკითხი
1	დავით მახვილაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	I, II, III
2	ხათუნა მხეიძე		სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე	I, II, III
3	ანზორ აბშილავა		სტუ -ის სამთო გეოლოგიური ფაკულტეტის დეკანი	I, II, III
4	ირაკლი გაბისონია		სტუ-ის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანი	I, II, III
5	შალვა კელეპტრიშვილი		სტუ-ის სამთო გეოლოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.	I, II, III

6	მარიამ ჯიქია		სტუ-ის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	I, II, III
7	ნათელა მაისურაძე		„ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების“ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.	I, II, III
8	გიორგი დურგლიშვილი		„ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების“ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.	I, II, III
9	ქეთევან ჯიჯეიშვილი		„საერთაშორისო ურთიერთობების“ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	I, II, III
10	ნატო სონღულაშვილი		„საერთაშორისო ურთიერთობების“ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	I, II, III
11	თამარ კიკნაძე		პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი.	I, II, III
12	გიორგი მათიაშვილი	გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწვლო უნივერსიტეტი	რექტორი	IV
13	ელისო ელისაშვილი		კანცლერი	IV
14	ლალი ჩაგელიშვილი-აგლაძე		ვიცე რექტორი ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით	IV
15	მარიამ დარბაიძე		კანცლერის მრჩეველი	IV
16	გრიგოლ კალანდაძე		საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ხელმძღვანელი	IV
17	ზურაბ მუშკუდიანი		ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის (ინგლისურენოვანი) ხელმძღვანელი	IV
18	გელა ალადაშვილი		ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი	IV
19	ლიკა ხარებავა		ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	IV

20	ნინო თაბაგარი	შპს დავით ტვილდიანი სამედიცინო უნივერსიტეტის	დეკანი	V, VI
21	თამარ თალაკვაძე		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვნელი	V, VI
22	ნინო გიორგაძე		იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი	V, VI
23	გალდავა რომეო	სსიპ - "სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი"	უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	VII
24	ზურაბ ფაჩულია		პროფესორი	VII
25	მარინა ზარქუა		ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	VII
26	ნესტან კეკელია		ფაკულტეტის დეკანი	VII
27	ვლადიმერ ღლონტი	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი, ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	VIII
28	ლელა თურმანიძე		პროფესორი, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანი,	
29	ნანი მამულაძე		ასოცირებული პროფესორი, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის	
30	ნუგზარ ღომიძე		პროფესორი, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ,,ფიზიკა" ხელმძღვანელი	
31	ლალი კალანდაძე		ასოცირებული პროფესორი	
32	იზოლდა ჯაბნიძე		ასოცირებული პროფესორი, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ,,ფიზიკა" ხელმძღვანელი	

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაციაელექტრონულისაშუალებითმონაწილეობისშესახებ	საკითხი
1	**ნინო დონდოლაძე**	(ჩაერთო „ზუმით")	I,II
2	**ივანნა მაჩიტიძე**	(ჩაერთო „ზუმით")	III
3	**დავით გეგეჭკორი**	(ჩაერთო „ზუმით")	III
4	**ვასილ კიკუტაძე**	(ჩაერთო „ზუმით")	IV
5	**ელენე ჯღარკავა**	(ჩაერთო „ზუმით")	IV
6	**თამთა ცხოვრებაძე**	(ჩაერთო „ზუმით")	IV
7	**ნინო ჯავახიშვილი**	(ჩაერთო „ზუმით")	IV
8	**ლეილა ახვლედიან**	(ჩაერთო „ზუმით")	V,VI
9	**ინგა ბოჭოიძე**	(ჩაერთო „ზუმით")	VII
10	**გიორგი დალაქიშვილი**	(ჩაერთო „ზუმით")	VIII

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი .

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.
საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
3. სსიპ - საქართველო ტექნიკური უნივერსიტეტის ,,საერთაშორისო ურთიერთობების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს დავით ტვილდიანი სამედიცინო უნივერსიტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიან ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
6. შპს დავით ტვილდიანი სამედიცინო უნივერსიტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიან ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
7. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
8. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ფიზიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარისის განხილვა;
3. სსიპ - საქართველო ტექნიკური უნივერსიტეტის ,,საერთაშორისო ურთიერთობების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს დავით ტვილდიანი სამედიცინო უნივერსიტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიან ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

6. შპს დავით ტვილდიანი სამედიცინო უნივერსიტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიან ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
7. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
8. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ფიზიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

პირველი საკითხი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტირებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო 15.07.2021. გადაწყვეტილება N 714546
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 7
9	კვალიფიკაციის დასახელება	ნავთობისა და გაზის მოპოვების ტექნოლოგიის მაგისტრი / Master of Oil and Gas Technology
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	სამთო საქმე და მოპოვება 0724
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავასქ. 77, No 3 სასწავლოკორპუსი
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

მეორე საკითხი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

;№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტირებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო 15.07.2021. გადაწყვეტილება N714557
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 8
9	კვალიფიკაციის დასახელება	ნავთობისა და გაზის მოპოვების ტექნოლოგიის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	სამთო საქმე და მოპოვება 0724
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	50
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავასქ. 77, No 3 სასწავლოკორპუსი
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **კი**

თვითაცილება განაცხადა- ეკატერინე შაკიაშვილმა
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას,

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

თავჯდომარემ შესთავაზა ინსტიტუციას პირველი და მეორე საკითხები ნავთობისა და გაზის სამაგისტრო სადოქტორო პროგრამის საკითხები ერთი მოსმენით სათათბირო შესვენების გარეშე განეხილათ და შემდგომ გადასულიყვნენ მესამე საკითხზე. რასთან დაკავშირებითაც ინსტიტუციამ თანხმობა განაცხადა.

პირველი საკითხის განხილვის დაწყებისთვის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ექსპერტს, რათა წარმოედგინა მოკლე მიმოხილვა

ექსპერტმა აღნიშნა, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ხორციელდება ნავთობისა და გაზის სამაგისტრო პროგრამა, რომელიც აკრედიტებულია საგანანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილების შესაბამისად. საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად ნავთობისა და გაზის სამაგისტრო პროგრამას განესაზღვრა აკრედიტაცია შვიდი წლის ვადით და რვა რეკომენდაციის შესრულების ანგარიშის წარსადგენად განესაზღვრა ერთი წელი. ინსტიტუციამ საკმაოდ მკაფიოდ ჩამოაყალიბა რეკომენდაციების შესრულების შესახებ გადაწყვეტილებები. გარკვეული ცვლილებები შევიდა საგანმანათლებლო პროგრამაში, რომლის განხილვის შედეგად დადასტურდა რომ ინსტიტუციამ ყველა ეს აღნიშნული რეკომენდაცია შეასრულა წესისამებრ.

სხდომის თავჯდომარემ მადლობა გადაუხადა ექსპერტს, და კითხვით მიმართა ინსტიტუციას ხომ არ სურდა რაიმეს დამატება.

ინსტიტუციის წარმომადგენელი მიესალმა დამსწრეებს, მადლობა გადაუხადა ექსპერტს შეფასებისთვის და აღნიშნა რომ დაწესებულებამ ყველა რეკომენდაცია გაითვალისწინა, რისთვისაც ძალიან დიდი შრომა გასწია უშუალოდ ფაკულტეტმა. შესაბამისად თუ რამე კითხვები არსებობდა მზაობა გამოითქვა პასუხისთვის.

ხდომის თავჯდომარემ კითხვით მიმართა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრებს ხომ არ ქონდათ ნავთობისა და გაზის სამაგისტრო პროგრამასთან მიმართებით კითხვები.

აბჭოს წევრი, გურანდა ჭელიძე მიესალმა ინსტიტუციას, ექსპერტს, ისარგებლა შემთხვევით და მიულოცა ინსტიტუციას საიუბილეო წელი და უსურვა საქმიანობის წარმატებით განხორციელება. მან კითხვით მიმართა ექსპერტს და სთხოვა დაეზუსტებინათ საკითხი, რომელიც ეხებოდა ორ რეკომენდაციას, საუბარია სამაგისტრო ნაშრომში მაგისტრანტების მიერ თანამედროვე და მათ შორის ინგლისურენოვანი ლიტერატურის გამოყენების შესახებ, ასევე სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების წესის შესახებ. არმოდგენილი დასკვნის მიხედვით ამ რეკომენდაციების შესრულებისას ექსპერტი დაეყრდნო დებულებას სამაგისტრო ნაშრომის შესრულების შესახებ და ასევე, დაეყრდნო ოქმს, რომელიც განიხილა ფაკულტეტის საბჭომ. ასევე, დასკვნაში მითითებულია, რომ ბიბლიოთეკაში უხვად იყო თანამედროვე ლიტერატურა, აღნიშნულზე ბიბლიოთეკა მითითებულია, როგორც მტკიცებულება, რაც სავსებით მისაღები იყო საბჭოს წევრისათის.. ურანდა ჭელიძის კითხვის არსი მდგომარეობდა იმაში, ჰქონდა თუ არა ნანახი ექსპერტს კონკრეტულად შესრულებული სამაგისტრო ნაშრომები და თუ იყო პრაქტიკულად ასახული, გარდა დებულებისა და ოქმისა, ის რეკომენდაციები უშუალოდ მაგისტრანტების მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომში.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ 2022 წელს აკრედიტაციის შემდგომ დაცულ სამაგისტრო ნაშრომებში ცვლილებები შეტანილი იყო.

სხდომის თავჯდომარემ სთხოვა საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელს დაედასტურებინა ზემოაღნიშნული.

დაწესებულების წარმომადგენელმა როგორც აღნიშნა არ არის საკითხი შემოფარგლული მხოლოდ აკადემიური დეპარტამენტის ან ფაკულტეტის საბჭოს დონეზე. ოფიციალური რეკომენდაციები ცენტრალური ხარისხიდან და ფაბულის ხარისხიდანაც და უშუალოდ სამართლებრივ აქტშიც ასახულია ეს ვალდებულებები რომ დაიცვან. გარდა მაგისა, ყველა დაცვის წინ გაძლიერდა კონტროლი და რეკომენდაციების მიღების შემდგომ პერიოდში. წარმომადგენელმა როგორც აღნიშნა ექსპერტმა რამდენიმე ნაშრომი ნახა, ყოველშემთხვევაში მას ასეთი ინფორმაცია ქონდა, უშუალოდ როცა მოწმდებოდა და ამ მიმართულებით პრობლემა არ იყო. შესაძლებელი დოკუმენტში ასახვის ნაწილში იყოს გამორჩენილი. სხვა რეკომენდაციები კი შესრულების კუთხით ბოლომდე იყო მიყვანილი.

ხდომის თავჯდომარემ მიმართა კოლეგებს ხომ არ ქონდათ სამაგისტრო პროგრამასთან მიმართებით კითხვები .საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, რომ დამათებითი კითხვები არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარე გადავიდა მეორე პროგრამის, ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების სადოქტორო პროგრამასთან მიმართებით წარმოდგენილი ანგარიშის განხილვაზე.

ხდომიოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს წარმოადგინა მისი პოზიცია.

ექსპერტმა , აღნიშნა რომ ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების სადოქტორო პროგრამაზე შესასრულებლად განსაზღვრული იყო 13 რეკომენდაცია, შვიდი წლით მიეცა აკრედიტაცია და ერთი წელი განესაზღვრა აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციის შესასრულებლად. ან განმარტა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებამ აკრედიტაციის პროცესის დროს გაცემული რეკომენდაციები სრულად შეასრულა, რაც მის მიერ მომზადებულ ანგარიშიც ასახული იყო.

ხდომის თავჯდომარემ მადლობა გადაუხადა ექსპერტს მოხსენებისთვის, და მიმართა საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ მათი პოზიცია..

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული 13 რეკომენდაციიდან ზოგიერთ რეკომენდაციაზე მზაობა უნივერსიტეტს ჰქონდა პროცესის მიმდინარეობს დროს, მაგრამ საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებული შიდა პროცედურების გამო სამართლებრივი აქტების დროულად დამტკიცება ვერ ,მოესწრო დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ მათ სურად შეასრულეს გაცემული რეკომენდაციები, რაზეც მეტყველებს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, შიდა და გარე შეფასებები, რეკომენდაციები. მან ასევე აღნიშნა რომ ერთ-ერთ გასულ სხდომაზე დეტალურად გააცნო საბჭოს წევრებს თუ რა ცვლილებები განახორციელეს, რის საფუძველზეც დაწესებულებაში შეიქმნა პრაქტიკულად უნიკალური დოკუმენტი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესახებ.ს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომაზე დამსწრე წევრებს მიმართა წარმოეგინათ მათი მოსაზრებები, კითხვები სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა მაკა კაჭარავა დაინტერესდა სანგარიშო პერიოდში მოხდა თუ არა დისერტაციის დაცვა და განმარტება მოსთხოვა ორივე მხარეს, საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებსა და ექსპერტსაც, საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებთან მიმართებით, თუ რომელი სამეცნიერო ბაზები იყო დებულებაში დაფიქსირებული.

ხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს განმარტება გაეკეთებინა სადისერტაციო ნაშრომებთან მიმართებაში ექსპერტმა აღნიშნა, რომ მას არ უნახავს ახალი სადოქტორო ნაშრომები.

ხდომის თავმჯდომარემ ექსპერტს სთხოვა დამატებით განემარტა აკრედიტაციის პრეცესში 2.4 ქვესტანდარტთან გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც სადისერტაციო ნაშრომის დაცვის დროს გამოყენებული უნდა იყოს უახლეს მიღწევაზე გამოყენებული ლიტერატურა, დასკვნით წარმოდგენილია, რომ აღნიშნული რეკომენდაცია შესრულებულია. თავმჯდომარემ ამასთან დაკავშირებით დამატებითი განმარტება ითხოცა.

ექსპერტმა როგორც აღნიშნა, ინსტიტუციას ქონდა მიღებული რომ უფრო მეტად მიექცეოდა ამ საკითხს ყურადღება და დავალებული ქონდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს რომ უახლესი ლიტერატურის გამოყენებით იქნებოდა შემდეგი დისერტაციები დაცული.

თავჯდომარემ თხოვა დაწესებულების წარმომადგენელს დაეფიქსირებინა პოზიცია, იყო თუ არა სანგარიშო პერიდოში დისერტაციები დაცული, რამდენი იყო, იქნა თუ არა გათვალისწინებული თუ არა მაშინ რის საფუძველზე არის ეს რეკომენდაცია შესრულებული.

დაწესებულებიდან შალვა კელაპტრიშვილმა როგორც აღნიშნა, ორი სადისერტაციო ნაშრომის დაცვა მოხდა, ერთი თემა იყო ჰორიზონტარული ბურღვა მეთოდოლოგია, რომელიც მთელს მსოფლიოში არის ახალი, 15-20 წლის წინ ეს მეთოდოლოგია არ გამოიყენებოდა, მითუმეტეს საქართველოში დაინერგა 10 წლის ეს ეხება ბურღვის მეთოდოლოგიას რომელიც საქართველოში არის რამოდენიმე წლის დანერგილი.

თავჯდომარემ კითხვა დაუსვა ბატონ შალვას იმის შესახებ ნანახი აქვს თუ არა ექსპერტს სადისერტაციო ნაშრომები.

დაწესებულების წარმომადგენელმა შალვა კელაპტრიშვილმა როგორც აღნიშნა, მან არ იცის ნახა თუ არა ექსპერტმა სადისერტაციონ ნაშრომები.

დაწესებულების წარმომადგენელმა დავით მახვილაძემ როგორც აღნიშნა, სადისერტაციო ნაშრომები ხელმისაწვდომი იყო ექსპერტისთვის და სავარაუდოდ ნანახიც აქვსზოგადად დოქტორანტების რაოდენობა მათ არ ჰყავთ ბევრი კონკრეტულ მიმართულებაზე და მხოლოდ ორ ნაშრომთან ქონდათ საქმე.რაც შეეხება სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნებას, მათ დადეს მოთხოვნა რომ სკოპუსის, ვერბორსაიენსის ბაზების გამოცემებში, მინიმუმ ერთი დოქტორანტის დაცვამდე, ასევე გუგლსკოლარი ჩადეს პირველ ეტაპზე გარდამავალი ეტაპით ერთი წლის პერიოდში ესეც მისაღები იქნება, ასევე დაუშვეს რომ პროგრამით გათვალისწინებული სხვა გამოცემაც, შეიძლება ითქვს რეცენზირებული, მაღალ რეიტინგული, სხვა გამოცემების, ოღონდ იმ შემთხვევაში თუ ექნება აკრედიტაციის საბჭოს გავლილი დადასტურებული ხარისხის კუთხით რომ ეს არის მისაღები.

ექსპერტმა როგორც აღნიშნა ზოგადად ლიტერატურა იძებნება საბიბლიოთეკო საიტზე და აქვს შესაძლებლობა დოქტორანტს გამოიყენოს ეს ლიტერატურა. გარდა მაგისა ვიზიტის დროს დამსაქმებლებთან ექსპერტმა კითხა მათ თუ ყავდათ დოქტორანტი და აქვს თუ არა დოქტორანტს მათთან არსებული უახლესი ლიტერატურის გამოყენების შესაძლებლობა, ამ საკითხზე დამსაქმებლებმა აღნიშნეს რომ ისინი ყველანაირად უწყობენ ხელს დოქტორანტებს კვლევის პროცესში და შემდგომაც საჭირო ლიტერატურით ამარაგებენ. თავჯდომარემ როგორც აღნიშნა შესაძლებლობები შეიძლება ბევრი იყო მაგრამ ამოცანა გვეკითხება რამდენი დოქტორანტი იყენებს ამ შესაძლებლობას, და მის ფაქტობრივი მტკიცებულებები რამდენად შეისწავლა ექსპერტმა. ასევე აღნიშნა, რომ დასკვნაში არ არის მითითება იმაზე რომ ექსპერტი გაეცნო სადოქტორო ნაშრომებს, დასკვნაში აპელირება არის იმაზე, რომ არის ხელმისაწვდომი აღნიშნული ლიტერატურა და ოქმზე რომელიც შესაბამისმა სტრუქტურულმა ერთეულმა წარმოადგინა, რაც სავსებით მისასალმებელია თუმცა რეკომენდაცია ცოტა კიდევ სხვა რამეს გულისხმობდა.

თავჯდომარემ თხოვა დაწესებულების წარმომადგენელს თუ სურდა რაიმე დაემატებინა.

დაწესებულების წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა იმ სპეციფიკას, რომელიც უნივერსიტეტის თხოვნით მუშაობს, როდესაც ექსპერტები მოდიან ვიზიტისას, მათ შორის ხარისხის უზრუნველყოფის პანელზე, ისისნი ცდილობენ ამოწურონ რეკომენდაციების სრული სპექტრი და ყველაფერთან მიმართებაში ხელმისაწვდომი გახადონ ინფორმაცია ექსპერტებისთვის. მათშ ორის მტკიცებულებების კუთხით რაიმე რომ არ გამოეპაროთ. ქალბატონმა ნინომ ალბათ ვერ გაიხსენა, მაგრამ ფლობდა ინფორმაციას რომ მათ შორის ნაშრომები იყო გაგზავნილი და სამკაოდ მოწონებული იყო ექსპერტების მხრიდან.

თავჯდომარემ როგორც აღნიშნა, სავსებით საკმარისია თუ დაწესებულების წარმომადგენელი დაადასტურებდა კონკრეტულ კითხვას იმის შეახებ რომ სადისერტაციო ნასრომები იქნა გადაგზავნილი, და ექსპერტს ამ ეტაპზე აღარ ახსოვს/ვერ იხსენებს/გამორჩა დასკვნაში სათათბირო შესვენების დროს იმსჯელებს საბჭო ამის შესახებ.თავჯდომარემ კითხისთვის მიმართა კოლეგებს.

საბჭოს წევრმა მაკა კაჭარავამ კითხვა დასვა უკვე ამოქმედა თუ არა დებულების პუნქტი, რომელიც ეხებოდა საერთაშორისო პუბლიკაციებს და ვინმეს ხომ არ აქვს ჩაშვებული მექვსე სემესტრის დოქტორანტს პუბლიკაციის გაგზავნა.

დაწესებულებიდან შალვა კელაპტრიშვილმა როგორც აღნიშნა ორმა დაიცვა დამათ ყავთ ერთი დოქტორანტი, მეორე კურსელი, რომელიც შემდეგი სემესტრიდან ჩაერთვება ამ ნაწილში.

საბჭოს წევრა ანზორ ბერიძემ კითხვა დასვა დაცვის წინაპირობებთან მიმართებაში, რაც ეხება გუგლსქოლარში სტატიების გამოქვეყნებასშესრულდა კი საბჭოს რეკომენდაცია ექსპერტების მოსაზრება მაშინ როდესაც ისევ დარჩენილია გუგლ სქოლარი, ასევე აღნიშნა რომ ზოგად ჩანაწერში შეილება იყოს ამ კონკრეტულ სადოქტორო პროგრამაზე იყოს თუ არა ეს მოთხოვნა. ხომ არუნდა დარჩეს ვებეს საიენსის და სკოპუსის ბაზებში ინდექსირება.

დაწესებულების წარმომადგენელმა როგორც აღნიშნა, მათ იმ ერთ ჭრილში როცდესაც გაიარა საინჟინრო პროგრამებმა და მიიღეს რეკომენდაცია, მათ იმ საერთო ჩანაწერით აიღეს და იმ საერთო ჩანაწერით შეიტანეს. ქალბატონი მაკას კითხვასაც შეეხო, ამ კუთხით და ეს განაწესი მათ 2021 წლიდან ჩარიცხულ დოქტორანტებზე ამუშავეს, რადგან ამ ტიპის სტანდარტების დაწესება გარკვეულ დრო ჭირდება.. ბატონ ანზორს უთხრა რომ უშუალოდ ეს პროგრამები რომლებიც იძლევა შესაძლებლობას რომ იმპაქტფაქტორის მქონე ჟურნალებში გამოქვეყნდეს ნაშრომები და ნამდვილად ეს ის პროგრამა სადაც შესაძლებელია. ასევე აღინიშნა, დაწესებულაბა პროგრამის აღწერილობაში ამატებენ ინდივიდუალურად ამ მოთხოვნებს, თუმცა ჯერჯერობით 2021 სასწავლო წლიდან ჩარიცხულ სტუდენტებს შეეხო ეს რეგულირება და ბოლომდე დაიხვეწერა პროგრამების დონეზე, სანამ სტუდენტი უკვე მივა შემსრულებამდე.

საბჭოს წევრმა, ანზორ ბერიძემ როგორც აღნიშნა ექსპერტის პოზიციის მოსმენაც სურდა ამ საკითხთან მიმართებით, თუმცა ასევე დასძინა რომ დღემდე წარმოდგენილ ანგარიშებში ბევრგან არის წარმოდგენილი გუგლსქოლარში ინდექსირება, არა მხოლოდ მაღალ იმპაქტფაქტოზე, აქ უბრალოდ თუ არის გუგლსქოლარში ინდექსირება აქ ან ვებოსაიენში გასაგებია და მისაღებია, როცა ამის პარალელურად რაღაც ალეტერნატივას ვაჩენთ ექსპერტების შეფასება როგორ არის შესრულდა თუ არ შესრულდა საბჭოს რეკომენდაცია.

ქალბატონმა ნინომ როგორც აღნიშნა, რადგან ტექნიკურ უნივერსიტეტეს განსაზღვრული ქონდა სამივე კუთხით, მათაც ჩათვალეს სამივე კუთხით განეხილათ და სამივე კუთხით შესრულდა იგულისხმება გუგლსქოლარიც.

საბჭოს წევრმა ანზორ ბერიძემ ექსპერტს კითხა ქონადა თუ არა საბჭოს რეკომენდაციები ნანახი, რაზედაც ექსპერტისაგან დადებითი პასუხი მიიღოო. შემდეგ კი თხოვა ექსპერტს იმ რეკომენდაციების დასახელება რაც მოცემული იყო.

სხდხომის თავჯდომარემ წაკითხა რეკომენდაციები რომელიც იყო შემდეგი: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის წინაპირობად განისაზღვროსსაერთასორისო სამეცნიერო ბაზებში: Scopus, Web of Science ინდექსირებულ ჟურნალში სტატიის/პუბლიკაციების გამოქვეყნება.

დაწესებულების წარმომადგენელმა როგორც აღნიშნა ჩანაწერიდან Google Scholar-ს ამოღების შემდეგ ისისნი სრულად თავსებადები გახდებიან რეკომენდაციებთან მიმართებაში. ისინი ეტაპობრივად ახორციელებენ ამ საკითხის მოწერსიგებას, უბრალოდ ერთიანად შეეხო ორმოცივე პროგრამას ეს ჩანაწერი და იქნება საბოლოდ Scopus-ში და Web of Science-ში ინდექსირებული გამოცემები.

საბჭოს წევრებს არ ქონდათ კითხვები სხდომაზე გამოცხადა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 14:35

დასრულების დრო: 15:56

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენასსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

- მომხრე - 0

- წინააღმდეგი - 12

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის 2^{11} პუნქტის, 31-ე მუხლის საფუძველზე, საბჭომ ცენტრთან იშუამდგომლა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე 2 თვეში მონიტორინგის განხორციელების თაობაზე, კონკრეტულად 2.2 და 2.4 ქვესტანდარტებთან მიმართებით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ცნობად მიღების საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:

- მომხრე - 0
- წინააღმდეგი - 12

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის 2^{11} პუნქტის, 31-ე მუხლის საფუძველზე, საბჭომ ცენტრთან იშუამდგომლა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე 2 თვეში მონიტორინგის განხორციელების თაობაზე, კონკრეტულად 2.2 და 2.4 ქვესტანდარტებთან მიმართებით.

მესამე საკითხი - სსიპ - საქართველო ტექნიკური უნივერსიტეტის ,,საერთასორისო ურთიერთობების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული (ოქმის ნომერი 1189664, 10 დეკემბერი 2020)
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 8
9	კვალიფიკაციის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები - 0312
12	სწავლების ენა	ქართული

13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	40
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავასქ. 77, No 3 სასწავლოკორპუსი
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **კი**

თვითაცილება განაცხადა- ეკატერინე შაკიაშვილმა
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

თავჯდომარემ მიესალმა ორ ექსპერტს ივანა მაჩიტიძე და დავით გეგეჭკორს, და სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს
ექსპერტმა ქალბატონმა ივანა მაჩიტიძემ სიტყვა დაიწყო მისალმებით, მიესალმა საბჭოს თავჯდომარეს, წევრებს დაწესებულების წარმომადგენლებს. აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამა შეიქმნა 2020 წელს საერთაშორისო ურთიერთობების საგანმანათლებლო სადოქტორო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა ოთხი წლის ვადით, ექვსი თვის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვადით და ერთი წლის თავზე მონიტორინგის წარმოების პირობით. გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვის შედეგად, 2022 წლის 25 მარტის საბჭოს გადაწყვეტილებით შემუშავდა 6 რეკომენდაცია, რომელიც სავალდებულო იყო შესასრულებლად და ასევე გაცემულ იქნა 8 რჩევა. რაც შეეხება აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვას რომელიც რათქმაუნდა განხორციელდა დისტანციურ ფორმატში, როგორც ნახსენები იყო ექსპერტთა ჯგუფი შედგება ორი ექსპერტისგან რომლებმაც გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში შეაფასეს პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა. პირველი სტანდარტი შეფასდა - შესაბამისი სტანდარტთან, სწავლის შედეგების ქვესტანდარტი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისობაში. მეორე სტანდარტი მთლიანად შეფასდა მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან, პროგრამის სტრუქტურა და სასწავლო კურსის ქვესტანდარტი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი. მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტები შეფასდა როგორც შესაბამისობაში მოთხოვნებთან. რაც შეეხება რეკომენბდაციებს თითო ქვესტანდარტის ფარგლებში მათ ქონდათ თითო რეკომენდაცია, სწავლის შედეგებიოს ქვესტანდარტში მათი აზრით აუცილებელია სამიზნე ნიშნულების შემუშავება რადგან ეს ხელს უწყობს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, სისტემატიურ და უწყვეტ შეფასებას. ასევე საჭიროა განისაზღვროს პროგრამის კონკრეტული სწავლის შედეგი რა დონით არის მიმართული

კონკრეტულ სასწავლო კურსთან. რაც შეეხება საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურას და შინაარს აქ ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით საჭიროა სადისერტაციო ნაშრომის წინაპირობად საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალებში სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნება. სასწავლო კურსის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით რეკომენდირებულია საგნის თემატიკის დაგეგმვა ისე რომ აქცენტი გაკეთდეს საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების ტენდენციებზე პრიორიტეტებზე და თავისუფლების შესახებ ახალი რთული და წინაღმდეგობრივი იდეებისადმი მიდგომების კონკრეტული ანალიზის და სინთეზის გენერირებაზე და ასევე საჭიროა დარგის მსოფლიო სამეცნიერო ჟურნალებიდან სტატიების გამოყენება მათი კრიტიკული განხილვა და ორიგინალური ნაშრომების შესწავლა, რაც არის სადოქტორო პროგრამის დონისათვის შესაბამისი და აუცილებელი მოთხოვნა. რაც შეეხება მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმღვანელობას ამსაკითხთან მიმართებაში ექსპერტთა ჯგუფს აქვს შემდეგი მოსაზრება რომ დოქტორანტურის სამეცნიერო ხელმძღვანელად დამტკიცდეს ის პირი რომელსაც აქვს დოქტორანტის სამეცნიერო თემასთან დაკავშირებული სამეცნიერო კვლევის გამოცდილება და უცილებელია თითო ხელმძღვანელის შემთხვევაში დოქტორანტთა მაქსიმალური რაოდენობის განსაზღვრა. ბოლო რეკომენდაცია ეხება ადამიანური რესურსების საკითხს და აუცილებელია დისერტაციის თემის ხელმძღვანელობისათვია აკდემიური პერსონალის შესაბამისი უზრუნველყოფა და პროგრამას გააჩნია ას ოცდაორი აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტი. რაც გამოვლენილია იმ დოკუმანტაციიდან რაც დაწესებულებამ მიაწოდა ექსპერტებს.

სხდომის თავჯდომარემ მადლობა გადაუხადა ექსპერტს მოხსენებისთვის და მიმართას დასწესებულებას მოხსენებისთვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაიუხადა ექსპერტს შეფასებისთვის, ხაზი გაუსვა სწორად შეფასების მნიშვნელობას, რაც ხელშემწყობი ფაქტორად გამოკვეთა დაწესებულებისთვის. კონკრეტული საკითხის სფეციფიკასთან მიმართებით აღნიშნა რომ მათ ქონდათ 60 ვადა კონკრეტული ამოცანის შესასრულებლად და ისისნი კონცეტრირდნენ ზუსტად ამ ამოცანების შესასრულებლად. ასევე აღნიშნეს, ისისნი არ ფიქრობენ იმას რომ პროგრამა უზრუნველყოფილი იყო შიდა და გარე ფაქტორებით. კონკრეტულად ისინი კონცეტრილდნენ გაცემულ 6 რეკომენდაციაზე. შესაბამისად გარკვეული რეკომენდაციები რომელიც შემუშავდა ამ შემთხვევაში ექსპერტების მიერ ეხება 2.4 ქვესტანდარტში და მეოთხე სტანდარტში გაცემულ რეკომენდაციებს უბრალოდ მათ ობიექტურად მიაჩნიათ მათ არ ქონდათ სათანადო ინფორმაცია ექსპერტებისთვის რომ ამ მიმართულებით ამომწურავი და სრული ინფორმაცია ქონოდათ შეფასებისთვის თუმცა ამ პირობებში ისინი დარწმუნებულები არაინ ქალბატონიო ივანა ძალიან ობიექტურ შეფასებას გააკეთებდა. რაც შეეხება უშუალოდ რეკოენდაციების ნაწილს, რეკიმენდაცია რომელიც ეხებოდა დოქტორანტის მიერ დაცვამდე სამეცნიერო ბაზებში ვებოსაიენს ან სკოპუს ინდექსირებულ ჟურნალებში სტატიის პუბლიკაციის გამოყენებას სპეციფიკის გათვალისწინებით, ახალიბაზა დაემატა რეგულირების ნაწილში და გუგლსქოლარი, ეს აქვთ ობიექტური მოცემულობა, თუმცა აკადემიურ საბჭოზე ძალიან მალე დადგება ეს საკითხი. რაც შეეხება უშუალოდ პროგრამის სწავლის შედეგებთან მიმართებაში რომელიც შეეხო მეორე რეკომენდაციას, ითქვა ის თუ რა გაკეთდა მოცემულ 60 დღეში. დაწესებულებამ დახვეწა უშუალოდ საწავლის მეთოდებში კვლევის კურსი ასევე დაამატეს თეორიული სასწავლო კურსი, დოქტორანტურის საფეხურსითვის უშუალო თეორიული და პრაქტიკული კურსი. რაც შეეხება სამიზნე ნიშნულებს კონცეპტუალურად დამუშავებულია და ტექნიკურ უნივერსიტეტში და სადოქტორო პროგრამას კლასიკურად იმ ტიპის სამიზნე ნიშნულები სწავლის შედეგებთან მართებაში რაც მუშაობდა აქამდე უნივერსიტეტსი იმის შემდგომ სპეციფიურად მესამე საფეხური უნდა გამოეყოთ თავიდან ბოლომდე და ნიშნულები დააწესე არა მხოლოდ სამიზნე ნიშნულებთან მართებაში არამედ სხვა ბევრ კომპონენტთან მიმართებაში, მათ შორის გამოქვეყნებულ ნაშრომებთან მიმართებაში.აღინიშნა, 60 დღიანი ვადა არ აღმოჩნდა საკმარისი უნიკალური შეთავაზება გაეკეთებინათ საბჭოსთვის, ამ ნაწილთან მიმართებით დაწესებულება აღიარებს რომ არ არაის

სრულყოფილად წარმოდგენილი. მესამე რეკომენდაციას რაც შეეხება, „კვლევის მეთოდებთან“ მიმართებით, შესაბამისობაში მოსულიყო მერვე დონესთან, განზოგადოებულ ნორმებთან მოსულიყო თავისი სომძლავრით სწავლის შედეგებთან და მეტი აქცენტი გაკეთებულიყო კვლევის მეთოდებზე და ინოვაციურ ცოდნაზე. თუ შედარება მოხდება წინა სასწავლო კურსთან თვალნათლივი იქნება ის რადიკალურად შეცვლილი სასწავლო შედეგებისა და ასევე შიგნით არის ჩაშენებული როგორც კვლევის პროექტის კომპონენტი, ისე ე.წ. Case Study შეფასების ნაწილშიც საკმაოდ გაძლიერდა თავიდან ბოლომდე ფიქრობენ რომ ამ რეკომენდაციას სამოცი დღის ვადაში შინარსობრივად და ფორმალურადაც პასუხი გასცეს. მეოთხე რეკომენდაცია გარე შეფასების ნაწილში რომ არა ტარებდეს მხარდამჭერი წერილის ხასიათს აბსოლიტურად ეთანხმებიან რომ მათ 60 დღის მანძილზე შეძლეს საქართველოში პარტნიორ უნივერსიტეტთან გარე შეფასების ჩატარება, უცხოელთან დროში ვერ მოესწრო უბრალოდ აღნიშნულ პერიოდში, მიიღეს ექვსი რეკომენდაცია, რომელთაგანაც გაითვალისწინეს სამი. მაგალითად ვერ გაითვალისწინეს ის რაც მიღებულია უცხოურ პრაქტიკაში, რომ მაგისტრატურის საფეხურზე თუ აქვს გავლილი მაგისტრანტს კვლევის მეთოდები საერთაშორისო ურთიერთობაში მაშინ დოქტორანტურაში აღარ არის სავალდებულო თუმცა ძალიან დიდი რისკია დოქტორანტურაზე არ ჰქონდეთ კვლევის მეთოდები სავალდებულო ნაწილში და ამ ნაწილში პრობლემა შეიქმნას. რაც ეხება სპეციფიკას,როდესაც ექსპეტები შემოწმებაზე იყვნენ ის იყო გარდამავალი პერიოდი როდესაც ახალი დებულება მტკიცდებოდა და საუბარია იმაზე რომ დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელად არ იყო განსაზღვრული მიუხედავად იმისა რომ პრაქტიკა ქონდათ მაქსიმალურად სამეცნიერო მიმართულების შესაბამისი საკვლევ თემაზე სამეცნიერო ხელმზღვანელობა დოქტორანტისთვის. თუმცა ეს არ იყო არსად გაწერილი, თავიდანვე გათვალისწინებულ იქნა ახალ რედაქციაში და დღეს მოქმედი უკვე ახალ რედაქციაში რომ ვისაც აქვს გამოცდილება ამ მიმართულებით თავიდან ბოლომდე შეივსო. რეკომენდაცია რომელიც რეცენზირებას უკავშირდებოდა, მათ ქონდათ რეგულაცია იმგვარი თუნდაც ერთი ან ორივე უარყოფითი რეცენზიის შემთხვევაში დოქტორანტს ქონდა საკუთარი რისკით საბჭოზე გასვლის შესაძლებლობა. თუმცა ახალი რეგულაციით ორიდან ერთი მაინც დაწერს რეცენზიას ნეგატიურს ამ შემთხვევაში ინიშნება მესამე რეცენზენტი და მისის შეფასება იქნება გადამწყვეტი, ნეგატიურის შემთხვევაში უბრუნდება გადასამუშავებლად დოქტორანტს დადებითის შემთხვევაში კი გადის ფაკულტეტის კომისიაზე შემდეგ უკვე საუნივერსიტეტო კომისია მიანიჭებს ხარისხს. აქ თვითონ რეკომენდაციაში არ იყო გათვალისწინებული, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია რომ ჩამოყალიბდა თვითონ სადისერტაციო საბჭოების თემა და პრაქტიკულად ორ ეტაპად გაიყო ძალიან კარგად გაიმიჯნა ასევთქვათ შინარსობრივად შინარსობრივი საკითხის დადგენა და დისერტაციის დაცვის ნაწილი და კვალიფიკაციის მინიჭების პროცედურა ერთმანეთისგან, და ხელმძღვანელობენ გამორჩეული მეცნიერები თანამდებობის პირები. რაც შეეხება უშუალოდ დამატებით რეკომენდაციებზე, მიუხედავად იმისა რომ 60 არიყო ეს წარმოდგენილი ერთი რეკომენდაცია რომელიც ეხებოდა ასოცდაორ დოქტორანტთან მიმართებაში აქტიური სტატუსით დღეს შედარებით ნაკლებია მაგრამ ალბათ იმ დროს ასე იყო პრაქტიკულად ჩვენ წარმოდგენილი გვაქ რომ ოცდაცხრამეტი კაადემიური პერსონალი ემსახურება ამ საგანმანათლებლო პროგრამას. გარადა ამისა მათ აქვთ ძალიან მოქნილი აკადემიური პერსონალის იდენტური სტატუსით არა არჩევის არამედ მოწვევის მექანიზმი კანონმდებლობის დონეზე ერთადერთი სპეციფიური ჩანაწერი არის ტექნიკურ უნივერსიტეტში სხვა უნივერსიტეტებს ეს არაქვთ და დადწესებულია ახალი დებულებით რომ დოქტირანტი ყავდეს მაქსიმუმ სამი სამეცნიერო ხელმძრვანელს რაოდენობრივად. ბოლოს რაც შეეხება თანამედროვე კვლევებზე წვდომას, მაქსიმალურად ისინი დოქტორანტებთან ისე სამეცნიერო ხელმძღვანელებთან ქონდათ მუშაობა თითეულ ამ პროგრამაზე და ის სამეცნიერო ბაზები რომელიც პროგრაამზე ხელმისაწვდომია და უნიკალური გამოცემები რომელიც ინახება მათ ბიბლიოთეკაში ბოლომდე ყოფილიყო გამოყენებული და შეთავაზებული დოქტორანტისთვის თუმცა თუ ეს ასე არმოხდება და ამით არ ისარგებლებს ეს უბრალოდ შედეგზე აისახება და რათქმაუნდა ხარისხი უზრუნველყოფს იმას და პროცედურები

შეფასდება, იყოს ადეკვატური და შეიძლება უარყოფითიც როდესაც მოუვა დისერტაციის დაცვა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, ოცდაცხრამეტი ასოცირებული და სრული პროფესორი ემსახურება ამას ამ ეტაპზე და როგორც ბატონმა დავითმა მოგახსენათ 122 იყო თუმცა დღეს უფრო ნაკლებია აქტიური სტუდენტების რაოდენობა რაც უფრო მნიშვნელოვანია მიღება წელს არ ჰქონიათ და სწორედ ამ მიზნით რომ მაქსიმალურად დარეგულირდეს ეს რაოდენობებიც და ხარისხთან შესაბამისი იყოს და მაღალი ხარისხიც იყოს ამიტომაც წელს საერთოდ არ გამოცხადებულა მიღება ამ სადოქტორო პროგრამაზე.

თავჯდომარემ კითხვა დაუსვა დაწესებულების წარმომადგენლებს თუ რამდენი აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტები ყავდათ დაწესებულებაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა როგორც აღნიშნა 104 აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი ყავს დაწესებულებას ბოლო მონაცემებით.

თავჯდომარემ მადლობა გადაუხადა დაწესებულების წარმომადგენელს მოხსენებისთვის და მიმართა კოლეგებს ელექტრონულად დაფისქსირებისთვის თუ ქონდათ კითხვები აღნიშნულ საკითხზე.

გურანდა ჭელიძე მიესალმა დაწესებულებას ექსპერტებს დამაზუსტებელი კითხვით მიმართა ქალბატონ ივანას, დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციაში საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში ინდექსირებულ ჟურნალებში პუბლიკაციების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით, მითითებულია რომ რეკომენდაცია შესრულებულია. დასკვნაში მითითებულია რომ რეკომენდაცია შესრულებული არ არის და იშველიებთ დებულების მეთორმეტე მუხლს, რამდენადაც მათ ნახეს დებულება რომელიც მოქმედებაში შევიდა 27 მაისს ეს პუნქტი არის მითითებული ექსპერტებისათვის იმისათვის რომ ამ რეკომენდაციების შესრულებაში ამ რეკომენდაციის შესახებ არ გაცემულიყო შესაბამისი დასკვნა რომელიც მან ამოიკითხა ექსპერტების დასკვნაში.

დავით ჩოჩიშვილი მიესალმა ექსპერტებს, ინსტიტუციას და დაზუსტება მოითხოვა ექსპერტების მხრიდან შემდეგი გარემოების, მათ წარმოდგენილ დასკვნაში 4.2 სტანდარტთან დაკავშირებით არის ასეთი ჩანაწერი, რომ სასურველია აკდემიურმა პერსონალმა მოიძიოს საერთაშორისო გრანტები და დაფინასება რომელიც ხელს შეუწყობსო აკადემიური პერსონალის განვითარებას და პროგრამის მოთხოვნადობას , კონკრეტულად კითხვა მაქვს წინა დასკვნაში ეს იყო რჩევაში ასეთი ფორმულირება რამ განაპირობა ამ რჩევის რეკომენდაციაში ატანა და რამდენად მიგაჩნიათ სავალდებულოდ გაუხადოთ ინსტიტუციას რომ აკადემიურმა პერსონალმა საერთაშორისო გრანტები მოიძიოს.

ივანა მაჩიტიძემ მადლობა გადაიხადა შეკითხვებისთვის, როგორც აღნიშნა 4.2ქვესტანდარტთან მიმართებაში აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებას, ეს არის რჩევა რომელიც არ არის სავალდებულო ხასიათის. აქვე აღნიშნეთ რომ დაწესებულებამ მიაწოდა ეს ინფორმაცია ნამდვილად მონაწილეობს და უკეთესობისკენ შეიცვალა აკადემიური პერსონალის რომელიც არის ჩართული მონაწილეობის საერთაშორისო საგრანტო პროექტებში და და მათ იფიქრეს რომ კარგი იქნებოდა იყოს იმიტომ რომ ეს რჩევა ბმაშია ადამიანური რესურსების რეკომენდაციასთან რაც უფრო მეტი მონაწილეობა იქნება აკადემიური პერსონალის მონაწილეობის მხრიდან სხვადასხვა საერთაშორის პროექტში განსაკუთრებით კვლევითი პროექტი მით უფრო ხელს შეუწყობს მათი კვალიფიკაციის ამაღლებას და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას და მაგიტომ რჩევად განვსაზრვრეთ რომელსაც არ აქვს სავალდებულო ხასიათი.

ბატონმა დავით ჩოჩიშვილმაბოდისი მოიხადა საბჭოს წინაშე რეკომენდაციაში აერია რჩევა.

განაგრძო ივანა მაჩიტაძემ, რაც შეეხება ქალბატონი გურანდას კითხვას რეკომენდაციასთან დაკავშირებით, აღნიშნა რომ მათ რაც დებულებით იხელმძრვანელეს იქ შესაბამისი ინფორმაცია არ იყო ასახული, მაგრამ ასევე აღნიშნა რომ არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში მათ არ მიუღიათ არგუმენტირებული პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით, ის პოზიცია რაც მიიღეს, სხვა რეკომენდაციებს ეხებოდა. რაც შეეხება ჰეინონლაინს,

საერთაშორისო სამართალი არის კავშირში საერთაშორისო ურთიერთობებთან, მაგრამ განსხვავებული დარგია, სპეციფიკაც განსხვავებულია. შეიძლება ჩაითვალოს უშუალოდ ბმაში ამ დარგთან, მათი აზრით, ეს ნაკლებად რელევანტურაი საერთაშორისო ურთიერთობების შემთხვევაში.

დაწესებულების წარმომადგენემა დავით მახვილაძემ როგორც აღნიშნა, მათ მაქსიმალურად აღნიშნეს არგუმეტირებულში, ალბათ უფრო მეტად უნდა გაესვათ ხაზი, დადგენილება რომელიც სწრაფად პასუხისთვის რეკომედაციებზე ძველ რედაქციებში ცვლილება შევიტანეთ 27 მაისს ნომერი 56 დადგენილება 2022 წლისა, წინსწრებად სანამ ახალი რედაქციის დოქტორანტურის დებულება დამტკიცდებოდა და ვინაიდან კოდიფიცირებული ვერსია არ იყო ატვირთული ვებგვერდზე.

საბჭოს წევრებს არ ქონდათ კითხვები სხდომაზე გამოცხადა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 15:27
დასრულების დრო: 16:03

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველო ტექნიკური უნივერსიტეტის ,,საერთასორისო ურთიერთობების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტა.

კენჭისყრის შედეგი:

- მომხრე - 10
- წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 31-ე მუხლის 24-ე პუნქტის სსიპ - საქართველო ტექნიკური უნივერსიტეტის ,,საერთასორისო ურთიერთობების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით დაევალოს 1 წლის ვადაში შეასრულოს რეკომენდაციები რომლებიც მოცემულია ოქმში.

რეკომენდაციები:

- "აუცილებელია სამიზნე ნიშნულების შემუშავება, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის სისტემატიურ შეფასებას, ასევე განისაზღვროს პროგრამის კონკრეტული სწავლის შედეგი თუ რა დონით არის მიმართული კონკრეტულ სასწავლო კურსთან.
- რეკომენდირებულია სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობადგანისაზღვროს საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში (Web of Science ან Scopus) ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალებში სტატიის/პუბლიკაციის გამოქვეყნება;
- ·რეკომენდებულია საგნის თემატიკის დაგეგმვა ისე, რომ აქცენტი გაკეთდეს საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების ტენდენციების, პრიორიტეტებისა და თავისებურებების შესახებ ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და იდგომების კრიტიკული ანალიზის, სინთეზის და შეფასების გენერირებაზე. ამ მიზნით საჭიროა დარგის მსოფლიოს წამყვანი სამეცნიერო ჟურნალებიდან სტატიების გამოყენება, მათი კრიტიკული განხილვა; ორიგინალური ნაშრომების შესწავლა, რაც შეესაბამება სადოქტორო დონის მოთხოვნებს.

- რეკომენდებულია ცოდნა-გაცნობიერების ნაწილში პროგრამის სწავლის შედეგებსა და პროგრამის შინაარსობრივ მხარს შორის ლოგიკური კავშირის გაძლიერება; აუცილებელია, შემუშავდეს სამიზნე ნიშნულები, რომელიც ხელს შეუწყობს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის სისტემატიურ შეფასებას, ასევე განისაზღვროს პროგრამის კონკრეტული სწავლის შედეგი თუ რა დონით არის მიმართული კონკრეტულ სასწავლო კურსთან;
- რეკომენდირებულია, სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტის/რეცენზენტების უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში, გადაიხედოს სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე დოქტორანტის დაშვების პროცედურა ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით."

რჩევები:

- სასურველია, დაზუსტდეს კურსდამთავრებულთა გამოკითხვების მეთოდოლოგია, კურსდამთავრებულთა დასაქმების და კვლევითი საქმიანობის შესახებ დეტალური ინფორმაციის უზრუნველყოფის მიზნით. აღნიშნული ზომები ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულთა ეფექტიან ჩართულობას პროგრამის განვითარებაში, ასევე მიზნების და შედეგების ფორმულირების დაზუსტებას.
- სასურველია, შეიქმნას სადოქტორო კვლევის პროექტის შაბლონი, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი შეფასების კრიტერიუმები, მისი სტრუქტურა და ფორმატი;
- იქიდან გამომდინარე, რომ პროგრმაზე ერთ-ერთი დაშვების წინაპირობაა ინგლისურიენის ფლობა B2 დონეზე, სასურველია, დაზუსტდეს ფორმულირება საზღვარგარეთ მიღებულ უცხოენოვან განათლებასთა ნდაკავშირებით და აქცენტი გაკეთდეს ინგლისურენოვან პროგრამებზე;
- სასურველია, დაზუსტდეს სასწავლო კურსის „კვლევის მეთოდები საერთაშორისო ურთიერთობებში“ დასახელება და დაერქვას „კვლევის მეთოდები პოლიტიკის მეცნიერებებში ან სოციალურ მეცნიერებებში“. იქიდან გამომდინარე, რომ საერთაშორისო ურთიერთობები პოლიტიკის მეცნიერებების ქვედარგია, მას არ გააჩნია უნიკალური კვლევის მეთოდები, რომელიც არ გამოიყენება პოლიტიკის მეცნიერებების სხვა ქვემიმართულებების მიერ.
- სასურველია, სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში ჩართულმა აკადემიურმა პერსონალმა, უცხოურ უნივერისტეტებთან პარტნიორობით, ერთობლივი კვლევითი თუ სასწავლო პროექტების განხორციელების ფარგლებში მოიპოვოს საერთაშორისო გრანტები და დაფინანსებები და ამ პროცესში აქტიურად ჩართოს დოქტორანტურის სტუდენტებსაც. ეს პროცესი ხელს შეუწყობს სადოქტორო პროგრამის ინტერნაციონალიზაციას, აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული უნარებისა და გამოცდილების განვითარებასა და თავად საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნადობას.

მეოთხე საკითხი - შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-

3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი 0101, სამღერეთის ქ. 5
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

თავმჯდომარემ შესავალ სიტყვაში აღნიშნა, ბიზნესის ადმინსიტრირების საბაკალავრო პროგრამის შეფასებაზე იმუშავა შემდეგმა შემადგენლობამ: ვასილ კიკუტაძე (ხელმძღვანელი),ელენე ჯღარკავა, თამთა ცხოვრებაძე და ნინო ჯავახიშვილი. თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ვასილ კიკუტაძეს.

ვასილ კიკუტაძემ წარმოადგინა დასკვნა გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაზე. პროგრამა არის ინგლისურენოვანი და ახალი. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის პირველ სექტემბერს, ადგილზე იქნა შემოწმებული სტანდარტების მიხედვით ყველა ნიუანსი, გამომდინარე აქედან ექსპერტების მიერ შემუშავებულ დასკვნაში ჩამოყალიბებულია გარკვეული რეკომენდაციები. პროგრამის სტრუქტურა საკმაოდ კარგად არის დაბალანსებული და კარგად პასუხობს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებელ მოთხოვნებს. ვასილ კიკუტაძემ გააცნო შემდეგი რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია გადახედილ იქნეს პროგრამის კურიკულუმის რუკა, კერძოდ, დაზუსტდეს პროგრამის ცალკეული სასწავლო კურსის მონაწილეობის დონე პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში და დაკორექტირდეს პროგრამის სწავლის შედეგების განვითარების ლოგიკა;

2. რეკომენდებულია დაკორექტირდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კერძოდ, პროგრამის მიმართულებისა და არსებული რეგულაციების გათვალისწინებით არჩევითი-სავალდებულო საგნების ჩამონათვალიდან ამოღებულ იქნეს გეოგრაფია;
3. რეკომენდებულია პროგრამის სასწავლო გეგმაში მითითებული სასწავლო კურსების წინაპირობები და კურსის სახელწოდებები მოვიდეს სრულ შესაბამისობაში კურსის სილაბუსით განსაზღვრულ წინაპირობებთან და სახელწოდებებთან.
4. რეკომენდებულია დაკორექტირდეს საბაკალავრო ნაშრომში გამოყენებული შეფასების სისტემა, კერძოდ, საჭიროა განხორციელდეს საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასების კომპონენტებში გამოყენებული ქულების ჩაშლა და დაკონკრეტდეს საბაკალავრო ნაშრომის დასკვნით შეფასებაზე დაშვების პირობა ნაშრომის პლაგიატზე შემოწმების კრიტერიუმების განმარტების გზით.

ვასილ კიკუტაძემ დასძინა, თუ რაიმე დამატებითი შეკითხვა იქნება მზად იყო პასუხები გაეცა.

თავჯდომარემ მადლობა გადაუხადა ექსპერტს მოხსენებისთვის და სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

ინსტიტუციის წარმომადგენელმა, ლალი ჩაგელიშვილმა სიტყვა დაიწყო მისალმებით პატივისცემა გამოხატა დამსწრების მიმართ, მიესალმა ექსპერტთა კორპუს ბატონი ვასილის ხელმძღვანელობით და მადლობა გადაუხადა ექსპერტებს ნაყოფიერი მუშაობისათვის და იმ საქმიანი რეკომენდაციებისათვის რომელიც მათ ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამასთან დაკავშირებით გამოთქვეს და დაფიქსირეს . აღინიშნა, რომ ეს მათ პროგრამის განხორციელების დროს ძალიან დაეხმარებათ და ის საქმიანი შენიშვნები, რეკომენდაციები დამოსზრებები რომლებიც ექსპერტთა ვიზიტის დროს გაიცა. წარმომარდგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამის შემუშავებისთვის შეიქმნა პროგრამაზე მომუშავე ჯგუფი, მანამდე მათ მოიძიეს და მოიზიდეს ის პერსონალი, მოცემულ პროგრამასთან დაკავშირებით, რომელიც ჩაერთვებოდა პროგრამის განხორციელებაში. ამასთან მიმართებაში ჩატარადა კონკურსი მოცემული პერსონალთან მიმართებაში და აღნინა, ეს პერსონალი მართლაც ღირსეულად იქნა შერჩეული, პერსონალი რომელიც ფლობს უცხო ენას, აგრეთვე ხაზი გაუსვა იმას რომ ეს პერსონალი არის ახალგაზრდა . მუშა ჯგუფის შემუშავების შემდგეგ, ჯგუფმა დაიწყო მუშაობა პროგრამის ძირითად სტრუქტურაზე და აქ შედიოდა პროგრამის ყველა დაინტერესებული მხარე, რომელიც ჩვენთვის უკვე ყველასთვის კარგად ცნობილია და დიდიდ ენთუზმიაზმით ჩაერთო ყველა დამსაქმებელი, თითოეული მათგანი გასცემდა რეკომენდაციებს, იძლეოდა თავის მოსაზრებებს, უზიარებდა სამუშაო ჯგუფს და გარკვეულ წილად შეიქმნა ის სტრუქტურა, რომელიც თქვენს წინაშეა წარმოდგენილი.

რაც შეეხება რეკომენდაციებს, პირველი რეკომენდაცია ეხებოდა პროგრამაზე დაშვების წინაპირობას, აღნიშნული იყო გეოგრაფია რომელიც დამატებითი საგანია და არა ძირითადი საგანი იმ სამი ძირითადი საგნისა, რაც გამოცდებზე ბარდეა, დაწესებულება ამ რეკომენდაციას დაეთანხმა და ამ ეტაპისათვის ის ამოღებულია მეორე რეკომენდაცია რომელიც ეხებოდა 2.2 სტანდარტს , ტექნიკური ხარვეზი რომელიც პროგრამის დახვეწის შემდეგ მოხდა უკვე ჩასწორდა, დაწესებულება ამ რეკომენდაციასაც დაეთანხმა. მესამე რეკომენდაცია, 2.2 სტანდარტთან მიმართებაში, რომელიც ეხებოდა პრაქტიკის სილაბუსს, დაწესებულებამ გაითვალისწინა და ამ ეტაპისათვის სრულად არის მოყვანილი რეკომენდაციასთან მიმართებაში. მეოთხე რეკომენდაცია, ეხება 2.6 ქვესტანდარტს, არის საბაკავრო ნაშრომთან დაკავშირებული, რომელიც საბაკალავრო ნაშრომის შეფასებას ეხება და ის 30 ქულიანი შეფასება, რომელიც ჩაშლილი იყო სხვადასხვა კომპონენტებად იყო 8-10 ქულა და 12,შეფასება გარკვეულწილად კიდევ უფრო ჩაიშალა დაკონკრეტა და ნაწილიც დაძლეულია, დაწესებულაბა სრულად დაეთანხმა ოთხივე რეკომენდაციას და აღნიშნეს, რომ ეს რეკომენდაციები გარკვეულ წილად შესრულდა.

სხდომის თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ინსტიტუცია და ექსპერტები ერთი მოსაზრების არიან, იზიარებენ ამ რეკომენდაციებს და ეს ხარვეზები ტექნიკური თუ არატექნიკური გასწორდა. ასევე აღინიშნა, რომ საბჭო მხედველობაში იღებს იმ ფაქტობრივ

გარემოებას რაც ექსპერტებმა მიიღეს იმ კონკრეტულ დროსა და სივრცეში. შემდგომ ინსტიტუციის ქმედებებს საბჭო ვერ მივიღებს მხედველობაში. თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მიესალმება დაწესებულების მზაობასა და განხორციელებულ ქმედებებს.

სხდომის თავჯდომარემ კითხვებისთვის მიმართა კოლეგებს.

ეკა ნაცვლიშვილი მისესალმა ექსპერტებს ინსტიტუციას, მადლობა გადაიხადა საინტერესო პროგრამის წარმოდგენისთვის და ასევე საინტერესო დასკვნის წარმოდგენისთვის, დამაზუსტებელი კითხვა დაუსვა ექსპერტს ერთერთ სასწავლო კურსთან მიმართებით. ბიზნეს ინგლისურის კურსი, რომელიც მესამე სემესტრში ისწავლება, ასევე პირველ სემესტრში ისწავლება ბიზნეს კომუნიკაციის კურსიც, საბჭოს წევრის აზრით ორივე კურსი ძალიან საინტერესოდ არის აწყობილი, კითხვა მდგომარეობდა შემდეგში - კურსის მიზანში რაც არის გაწერილი ის რამდენად შეესაბამება მესამე სემესტრის დონეს, საწყის სტადიაზე, პირველივე სემესტრში რომ ესწავლებინათ ხომ არ არ აჯობებდა?

ვასილ კიკუტაძემ მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრს კითხვისთვის და როგორც აღნიშნა სწორად იქნა აღნიშნული საბჭოს წევრის მხრიდან საკითხი, სწავლის შედეგების კორექტირება გამოიწვევს მაგ მიზნების კორექტირებას, წინაპირობების ნაწილში გარკვეული ცვლილებების შეტანას. საუბარი იყო იმაზე რომ სწავლის შედეგების თვალსაზრისით პროგრამის საერთო სწავლის შედეგებში მონაწილეობა გამტკიცების რაღაც ნაწილში, თვითონ კურსის შინარსიი კურსის მიზანი , ამიტომ დაწესებულებამ კარგად ნახა, გაეცნო რეკომენდაციას და ექსპერტებს ქონდათ ამაზე გარკვეული მსჯელობა, სავარაუდოდ დაწესებულება ამ კონკრეტულ საგანთან მიმართებით გარკვეულ ღონისძიებას გააკეთებს, თუნდაც მისი სემესტრული გადადგილების თვალსაზრისით და სწავლის შედეგებს დაკორექტირებს, ის გამოიწვევს გარკვეულ ცვლილებებს კურსის შიგთავში.

თავჯდომარემ მიმართა საბჭოს კითხვებისთვის.

საბჭოს წევრებს არ ქონდათ კითხვები სხდომაზე გამოცხადა სათათბირო შესვენება.
დაწყების დრო: 16:22
დასრულების დრო: 16:31

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით (კლასტერის ვადა: 31/12/2024) 6 თვის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.
კენჭისყრის შედეგი:

- მომხრე - 11
- წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუ ხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის

სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 2024 წლის 31 დეკემბრამდე, 6 თვის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია გადახედილ იქნეს პროგრამის კურიკულუმის რუკა, კერძოდ, დაზუსტდეს პროგრამის ცალკეული სასწავლო კურსის მონაწილეობის დონე პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში და დაკორექტირდეს პროგრამის სწავლის შედეგების განვითარების ლოგიკა;
2. რეკომენდებულია დაკორექტირდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კერძოდ, პროგრამის მიმართულებისა და არსებული რეგულაციების გათვალისწინებით არჩევითი-სავალდებულო საგნების ჩამონათვალიდან ამოღებულ იქნეს გეოგრაფია;
3. რეკომენდებულია პროგრამის სასწავლო გეგმაში მითითებული სასწავლო კურსების წინაპირობები და კურსის სახელწოდებები მოვიდეს სრულ შესაბამისობაში კურსის სილაბუსით განსაზღვრულ წინაპირობებთან და სახელწოდებებთან.
4. რეკომენდებულია დაკორექტირდეს საბაკალავრო ნაშრომში გამოყენებული შეფასების სისტემა, კერძოდ, საჭიროა განხორციელდეს საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასების კომპონენტებში გამოყენებული ქულების ჩაშლა და დაკონკრეტდეს საბაკალავრო ნაშრომის დასკვნით შეფასებაზე დაშვების პირობა ნაშრომის პლაგიატზე შემოწმების კრიტერიუმების განმარტების გზით.

რჩევები:

1. სასურველია პროგრამის ზოგიერთი სასწავლო კურსის სავალდებულო ლიტერატურის განახლება, კერძოდ: კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა (ძირითადი გამოყენებული ლიტერატურა 2014 წ), კალკულუსი ბიზნესისათვის I და II (2010 წ); ინოვაციური მენეჯმენტი (2017 წ).
2. სასურველია პრაქტიკის აღნიშნული სილაბუსების დახვეწა, კერძოდ პრაქტიკის კომპონენტის ერთი სილაბუსის სახით ფორმირება, სადაც ასევე იქნება დეტალურად გაწერილი სტუდენტის პრაქტიკის ობიექტზე ყოფნისას შესასრულებელი საქმიანობის დროის განაწილება.

მეხუთე საკითხი - შპს დავით ტვილდიანი სამედიცინო უნივერსიტეტის "დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიან ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 13 ივლისის # 706153 გადაწყვეტილება

5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 7
9	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	მედიცინა 0912
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	360
14	განხორციელების ადგილი	საქართველო; 0159, ქ. თბილისი, ლუბლიანასქ. 13/ ჭიაურელის6;საქართველო; 0119, ქ. თბილისი; აკ.წერეთლისგამზ. N121; საქართველო;3700, რუსთავი, სანაპიროსქ. N69
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

მეექვსე საკითხი - შპს დავით ტვილდიანი სამედიცინო უნივერსიტეტის "დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიან ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 13 ივლისის # 706153 გადაწყვეტილება
5		-

	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 7
9	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	მედიცინა 0912
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	360
14	განხორციელების ადგილი	საქართველო; 0159, ქ. თბილისი, ლუბლიანასქ. 13/ ჭიაურელის6;საქართველო; 0119, ქ. თბილისი; აკ.წერეთლისგამზ. N121; საქართველო;3700, რუსთავი, სანაპიროსქ. N69
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნია თაბაგარმა აღნიშნა, რომ ყველა რეკომენდაცია ჩათვალა შესრულებულად ექსპერტმა, მათ შორის, ოსკთან დაკავშირებითაც.ამასთან

დაკავშირებით მოთხოვნილი იყო ოსკის სადგურების სია, ასევე მოთხოვნილი იყო ერთ-ერთი სადგურის დავალება. წარმომადგენელმა ასევე აღინიშნა, რომ მოწონებული იყო ერთ-ერთი რეკომენდაცია, ადამიანური რესურსის დატვირთვასთან მიმართებით.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვებისთვის რომელიც ეხებოდა ორივე პროგრამას.

საბჭოს წევრებს არ ქონდათ კითხვები სხდომაზე გამოცხადა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 16:56

დასრულების დრო: 17:08

საბჭოს შემოუერთდა ექსპერტი ლეილა ახვლედიანი.

თავმჯდომარემ სიტყვე გადასცა ექსპერტს, ლეილა ახვლედიანს.

ლეილა ახვლედიანმააღნიშნა, მან ინსტიტუციას თხოვა წარმოედგინა დამატებითი დოკუმენტაცია, დოკუმენტაცია სრულყოფილად იქნა წარმოდგენილი რაც გამოითხოვეს. დოკუმენტაცია ეხებოდა ოსკის გამოცდების დამადასტურებელ დოკუმენტებს, ეხებოდა ლოქბუკებს რამოდენიმე მიმართულებაში, გინეკოლოგია, ქირურგია, პედეატრია და შინაგანი მედიცინა, და ასევე დატვირთვებს.ექსპერტმა აღნიშნა, აბსოლიტურად ყველა დოკუმენტი ადასტურებს რომ პირველრიგში ოსკის გამოცდები ტარდება, აქვთ ძალიან კარგად გაწერილი ოსკის ჩატარების წესი და დეტალურად არის გაწერილი. ამასთანავე გამოგზავნილი იქნა დამადასტურებელი ქეისი რომელიც ერთერთ ოსკის სადგურზე იყენებენ. წარმოდგენილ იქნა ლოქბუკები შევსებული ხელმოწერილი პედაგოგების მიერ, ასევე დეტალურად გაწერილი, სადაც იყო ინფორმაცია როგორც კლინიკური პრაქტიკის მიზნების ასევე მისაღწევი შედეგების პრაქტიკის მეთოდების დეტალური აღწერით და შეფასებით ექსპერტი აღნიშნავს, რომ ყველა რეკომენდაცია რომელზეც იყო კითხვისნიშანი შესრულებულია.

სხდომის თავჯდომარემ მადლობა გადაუხადა ქალბატონ ლეილას მოხსენებისთვის. ასევე ხაზი გაუსვა იმ გარემოებას რომ ორივე პროგრამაზე როგორც ქართულენოვან ისე უცხოენოვან პროგრამაზე იდენტური მახასიათებლები იყო წარმოდგენილი და მეორეჯერ განმეორება საჭირო აღარ იყო.

ქალბატონმა ლეილამ როგორც აღნიშნა რეკომენდაციის ნუმერაცია მხოლოდ განსხვავებული და ეს დასკვნაში დაფიქსირებული აქვთ.

საბჭოს წევრებს არ ქონდათ კითხვები სხდომაზე გამოცხადა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 17:13

დასრულების დრო: 17:15

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს დავით ტვილდიანი სამედიცინო უნივერსიტეტის "დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიან ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

- მომხრე - 12
- წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე შპს დავით ტვილდიანი სამედიცინო უნივერსიტეტის "დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიან ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს დავით ტვილდიანი სამედიცინო უნივერსიტეტის "დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიან ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:

- მომხრე - 12
- წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე შპს დავით ტვილდიანი სამედიცინო უნივერსიტეტის "დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიან ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

მეშვიდე საკითხი - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქიმია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული, 2021 წლის 9 ივლისის #694739 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ქიმიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0531 - ქიმია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ა. პოლიტკოვსკაიასN26, თბილისი, 0186,საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **კი**

თვითაცილება განაცხადა მაკა კაჭარავამ

საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.
სხდომას შემოუერთდნენ საბჭოს წევრები თამარ ზარანდია და ნინო ჭალაგანიძე.

თავჯდომარე მიესალმა დამსწრეებს და თხოვა ექსპერტს განსახილველ საკითხთან მიმართებით მოკლე მოხსენების გაკეთება.

ექსპერტმა ინგა ბოჭოიძემ სიტყვა დაიწყო მისალმებით, როგორც აღნიშნა 2021 წლის 9 ივლიის მიენიჭა პროგრამას აკრედიტაცია ერთი წლის თავზე ანგარიშის წარდგენის პირობით. საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად ჰქონდათ ხუთი სტანდარტიდან ოთხ სტანდარტზე სრული შესაბამისობა, მეოთხე სტანდარტთან მიმართებით იყო მეტწილი შესაბამისობა, აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად დაწესებულებას განესაზღვრა რვა რეკომენდაცია .

შეფასებით ოთხი რეკომენდაცია სრულადა შეფასებული, სამი რეკომენდაცია მეტწილად არის შეფასებული, ხოლო ერთი რეკომენდაცია ნაწილობრივ შეფასებული. ინგა ბოჭოიძემ წარმოადგინა შემდეგი რეკომენდაციები:

1. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული პრაქტიკა უნდა უზრუნველყოფდეს თანმიმდევრულ გადასვლას პასიური პრაქტიკიდან აქტიურ პრაქტიკამდე. აქედან გამომდინარე კვლევითი კომპონენტის გაძლიერება და ხელშეწყობა, პროგრამის საერთაშორისო დონის კვლევებშიჩართულობა, ლაბორატორიული კომპონენტის მოდიფიცირება, ლაბორატორიულ მეცადინეობებზე დათმობილი საათების ხანგრძლივობის გაზრდა და შესაბამისად შესასრულებელი ამოცანების გაღრმავება;
2. სილაბუსებში: ნივთიერებათა აღნაგობა, კრისტალოქიმია მითითებული იყოს უახლესი ლიტერატურა;
3. ზოგიერთი საგნის, კოლოიდური ქიმია, მაკრომოლეკულების ქიმია, ზოგადი ფიზიკა-1, დამხმარე ლიტერატურას დაემატოს თანამედროვე უცხოური თუ ქართულენოვანი ნაშრომებიც;
4. ელექტრონული ბიბლიოთეკა მოიცავდეს სტუდენტებისთვის საჭირო ყველა სასწავლო მასალას, რაც სილაბუსებით არის განსაზღვრული და სტუდენტებს ინფორმაციაზე წვდომა ჰქონდეთ დროულად და სტაბილურად;
5. უცხოენების კურსების გაძლიერება;
6. ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს ჰქონდეს მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის განმახორციელებელი პირების აკადემიურ განვითარებას, რაც ხელს შეუწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას. ასევე, ახალი შრომებისა და პუბლიკაციების შესახებ ინფორმაციის ასახვას და მუდმივ განახლებას მათ ბაზებში;
7. უნივერსიტეტის ლაბორატორიები უზრუნველყოფილი იყოს თანამედროვე ხელსაწყო დანადგარებით, ჭურჭლით, გამწოვი სისტემებით და ლაბორატორიის შესაბამისი თანამედროვე და საერთაშორისო სტანდარტების ინფრასტრუქტურით, სტუდენტის რაოდენობასთან კორელაციაში და ამასთან სტუდენტებისთვის უზრუნველყოფილი იყოს აღნიშნულ ხელსაწყოებთან ხელმისაწვდომობა;

8. რეკომენდირებულია შემუშავდეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების დეტალური სამოქმედო გეგმა(გრძელვადიანი და მოკლევადიანი) უნივერსიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებული ფინანსური რესურსებით.

პირველ, მესამე, მეხუთე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა რომ არის შესრულებული, მეორე რეკომენდაციასთან მიმართებით სასწავლო ლიტერატურა კვლავ საჭიროებს განახლებას. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ამ ეტაპისთვის დაწესებულებამ მნიშვნელოვანი ინვესტიცია განახორციელა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლების მიმართულებით, წარმოდგენილ იქნა დამატებით დოკუმენტები (შესყიდვის დოკუმენტები) რეაქტივების ქიმიური ჭურჭლის სხვადასხვა მოწყობილობების შესახებ სხვადასხვა დოკუმენტაცია, თუმცა სრული უსრუნველყოფისთვის და თანამედროვე უზრუნველყოფისთვის პროგრამისთვის მნისვნელოვანია რომ ამ მიმართულებით მუშაობ აგაგრძელდეს და შემდეგი რეკომენდაცია რომელიც ითვალისწინებს დროში გაწერილ დაგეგმილ აქტივობებს, ამ მიმართულებით, ამ ეტაპისთვის თვლიან რომ დეტალურად უნდა გაიწეროს ფინანსური რესურსის განაწილების გეგმა მატერიალური რესურსების გაუმჯობესების მიმართულებით.

თავჯდომარემ მადლობა გადაიუხადა ექსპერტს მოხსენებითვის და სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულები წარმომადგენელმა რომეო გალდავამ სიტყვა დაიწყო მისალმებით, მიესალმა თავჯდომარეს, საბჭოს წევრებს, ჯგუფის წერვრებს მადლობა მოახსენა ჩატარებული სამუშაოსათვის. ამ მიმართულების პროგრამების პროგრამების განხორციელებისას დაწესებულება და პასუხსმგებლობასაც და სახსრებსაც გამოყოფენ. ერთ რეკომენდაციასთან მიმართებით რომელიც ეხებოდა სახელმძღვანელოს ნივთიერების აღნაგობას, ფაქტობრივად გაციფრულებული იქნა 21 სახელმძღვანელო ქიმიის მიმართულებით და ვებგვერძე არის ატვირთული, ტექნიკური მიზეზების გამო ეს სახელმძღვანელო გამორჩათ.აღნიშნული ატვირთულია და ამის დამატკიცებელი ფოტომასალის წარმოდგენის მზაობაც გამოთქვა დაწესებულების წარმომადგენელმა. რაც შეეხება სახსრებ, დახლოებით 20-30 ათასი აქვთ დახარჯული ამ მიმართულებით და მომავალშიც აპირებენ ამ მიმართულებით თანხის გამოყოფას, იმიტომ რომ ქიმია მოითხოვს ამ რესურსს, ეს რესურსი გააჩნია ფაკულტეტს და ამ მართულებით აქტიურად გაგრძელებენ მუშაობას.

თავჯდომარემ მადლობა გადაუხადა დაწესებულების წარმომადგენელს მოხსენებისთვის და მიმართა კოლეგებს კითხვებისთვის.

საბჭოს წევრი, ირინა გველესიანი მიესალმა დამსწრებსს, ინსტიტუციას, დამაზუსტებელი კითხვა ქონდა ინსტიტუციასთან მიმართებაში რომელიც შეეხო საბაკალავრო ნაშრომების პლაგიატზე დეტალურად შემოწმების კრიტერიუმებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა რომეო გალდავამ როგორც აღნიშნა მათ ინსტიტუციას აქვს მიღებული დადგენილება სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების პლაგიატზე გატარების შესახებ პროცედურა აქვთ გაწერილი, რაც შეეხება საბაკალავრო ნაშრომებს მათ უმთავრდებათ ამ წელს ხელშეკრულება, და ააპირებენ რომ სადაც საბაკალავრო ნაშრომებსაც მოთხოვენ უკვე პლაგიატზე გატარებას. ამ ეტაპისთვის მხოლოდ სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე მოწმდება მითუმეტეს რომ ყველგან არარის საბაკალავრო ნაშრომები და ეს იყო მათი შემაფერხებელი უბრალოდ მომავალი წლიდან ისინი გეგმავენ რომ გაგრძელონ მუშაობა ამ მიმართულებით.

თავჯდომარემ მიმართა საბჭოს კითხვებისთვის.

საბჭოს წევრებს არ ქონდათ კითხვები სხდომაზე გამოცხადა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 17:31

დასრულების დრო: 17:35

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

- მომხრე - 11
- წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

მერვე საკითხი - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფიზიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფიზიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით 1 წელში ანგარიშის წარდგენის პირობით - 2021 წლის 3 სექტემბრის №856870
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 7
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფიზიკის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ფიზიკა - 0533
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ნინოშვილის/რუსთაველის ქ. №35/32 უნივერსიტეტის II კორპუსი, ბათუმი, 6010, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- კი

თვითაცილება განაცხადა ნინო ჭალაგანიძემ და ანზორ ბენიძემ.

საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს შემოუერთდა მაკა კაჭარავა.

თავმჯდომარე მიესალმა ინსტიტუციას ექსპერტს და სიტყვა გადასცა ბატონ გიორგი დალაქიშვილს მოხსენებისთვის.

გიორგი დალაქიშვილმა სიტყვა დაიწყო მისალმებით, მიესალმა საბჭოს წევრებს უნივერსიტეტს/. პირველი რეკომენდაცია ეხებოდა სწავლის შედეგებს, რომელიც შესაბამისობაში უნდა მოსულიყო შრომით ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებთან, აქ წარმოდგენილი ახალი კვლევის და აკადემიური საბჭოს დადგენილება, მაგარმ კარგი იქნებოდა უფრო დეტალურად ყოფილიყო ანგარიშში ახსნილი,. თუმცა აქვე აღნიშნავს, ძალიან რთულია ფიზიკაში, მითუმეტეს რეგიონზე შრომის ბაზარზე, უფრო დეტალური ვიდრე წარმოდგენილია პროგრამაში. ექსპერტმა გააგრძელა საუბარი 2.1 რეკომენდაციაზე და აღნიშნა, რეკომენდაცია უკავშირდებოდა მათემატიკის ცოდნის მოთხოვნას დაშვების წინაპირობებში, იმიტომ რომ სტუდენტს არ გაუჭირდეს პროგრამის დაძლევა, ამ ნაწილშიდამატებულია მათემატიკის საკითხები უბრალოდ ჩამონათვალში არის ტექნიკური პრობლემა, ვექტორული აღრიცხვის ნაცვლად წერია ელექტრონული აღრიცხვა. ასევე რეკომენდირებული იყო ლიტერატურის განახლება, წინაპირობების გამოცდებისთვის მოსამზადებელი საკითხებისა, ეს განაახლეს და არის შეტანილი ასევე ის რომ სამაგისტრო ნაშრომების დროს გამოყენებულ იქნას თანამედროვე მიღწევებზე დაფუძნებული ლიტერატურა, სამაგისტრო ნაშრომები არ დაცულა ამ საანგარიშო პერიოდში, ამიტომ ობიექტური მიზეზების გამო ვერ შესრულდა რეკომენდაცია, ასევე 5.3 ქვესტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაცია იყო, რომ ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმების წავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად.ამ ნაწილში დაწესებულებას სრულად აქვს წარმოდგენილი ის რაც გააკეთეს.

თავჯდომარემ მდლობა გადაუხადა ექსპერტს მოხსენებისთვის და სთხოვა დაწესებულებას აქცენტებით იმ საკითხებზე მოხსენება რომელსაც არ ეთანხმებიან.

დაწესებულების წარმომადგენელმა ვლადიმერ ღლონტმა სიტყვა დაიწყო მისალმებით, მიესალმა საბჭოს წევრებს, თავჯდომარეს, ექსპერტს. უმაღლესი აკრედიტაციის საბჭოს გასული წლის გადაწყვეტილება მათი პროგრამების აკრედიტაციის შესახებ, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, ფაკულტეტის ადმინისტრაციამ და აკადემიურმა პერსონალმა დადებითად შეაფასა, მათ ისარგებლეს შემთხვევით და მადლობა გადაუხადეს საბჭოს აკრედიტაციის პროცესში ჩართულ ექსპერტთა ჯგუფს, ბატონი გიორგის ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის. ექსპერტთა გუნდის მიერ გაცემული და შემდგომ საბჭოს მიერ დადასტურებული რეკომენდაციები მხედველობაში მიიღო ინსტიტუციამ და ისინი მათ მიერ სრულად იქნა გათვალისწინებული. თვლიან რომ ყველა რეკომენდაცია მიმართული იყო მათი პროგრამების ხარისხის გაუმჯობესებისკენ. კიდევ ერთხელ მადლობა გადაუხადეს კონსტრუქციულობისა და კეთილგანწყობისათვის. რაც შეეხება იმ კეთილგანწყობილ, განმავითარებელ რჩევებს რომელიც ცალკეულ რეკომენდაციებს მოყვა, დაზუსტებისათვის აღნიშნავს, მეხუთე სტანდარტთან მიმართებით სადაც არის საუბარი პროგრამის შედეგების შეფასების მექანიზმზე მიმდინარე წლის მაისი თვეში უნივერსიტეტმა მიიღო ახალი ნორმატიული დოკუმენტი რომელსაც ჰქვია „საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების განხორციელების და განვითარების წესი“, სადაც პროგრამების შეფასების მექანიზმი არის წარმოდგენილი რაც ექსპერტის დასკვნაში ძალიან ვრცლად არის აღწერილი, სადაც მათ რამოდენიმე ეტაპიანი პროგრამის შეფასების მექანიზმი აქვთ წარმოდგენილი და რომლის ამოქმედება რეალურად იწყება მიმდინარე წლის ბოლოსათვის. რაც შეეხება ბაზრის კვლევას რეკომენდაცია იყო რომ ჩატარებულიყო/დაზუსტებულიყო ბაზრის კვლევა , აქ პრობლემას იწვევს ის რომ მათ არ აქვთ

საერთო მეთოდოლოგია, სტანდარტი რომლის მიხედვითაც კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამა რომლის მიხდვითაც უნდა ჩაატარონ ბაზრის კვლევა .მათ ეს რეკომენდაცია შეასრულეს გამომდინარე იქედან რომ დაამზუსტებელი ბაზრის კვლევა მათ ჩაატარეს, ამ შემთხვევაში სტუდენტების, კურსდამთავრებულების რაოდენობიდან გამომდინარე სტატისტიკურ კვლევაზე ამშემთხვევაში უარი თქვეს და განახორციელეს უფრო მეტა თვისობრივი კვლევის, მეთოდები არის სიღმისეული კვლევა და სამაგიდო კვლევა, რომლის მეშვეობითაც ზოგადი ტენდეციები შეაფასეს. ამან განაპირობა ის, რომ მოხდა ცალკეული სწავლის შედეგების დაზუსტება კონკრეტულ პროგრამასთან მიმართებაში. წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ კვლევა არ იყო ფართომაშტაბიანი და სრულყოფილი, ყოვლის მომცველი ამომწურავი კვლევა, რომელიც ფიზიკის მიმართულებით განაპირობებს არამხოლოდ აჭარაში არამედ მთლიანად საქართველოში. დასძინა, რომ ეს იყო მცდელობა მათ ხელთ არსებული ინფორმაციის და რესურსების გათვალსიწინებით და რეკომენდაციის გათვალისწინების რეკომენდაციით რომ ეს ყველაფერი გაეკეთებინათ . ამან გამოიწვია ის რომ მომხდარიყო ცალკეული შედეგების დაზუსტება რა შესაბამისად განხორციელდა. რაც შეეხება ტექნიკურ ხარვეზებს ელექტრონული თუ ტენზორული ლიტერატურის განახლებასთან დაკავშირებით თხოვა პროგრამის ხელმძღვანელს მოხსენების გაკეთება.

პროგრამის ხელმძრვანელმა ნუგზარ გომიძე მისელამა ექსპერტებს საბჭოს წევრებს, მადლობა გადაიხადა კეთილგანწყობისა და რეკომენდაციებისათვის როგორც მან აღნიშნა ბატონმა ვლადიმერმა სრულად და ამომწურავად ისაუბრა შრომის ბაზართან მიმართებით ამიტომ ის ამ საკითხზე აღარ შეყოვნდა . მისი თქმით მათ გადამოწმეს დოკუმენტაცია, სადაც აღნიშნული ხარვეზი აღარ ფიქსირდება. მაგრამ არ გამორიცხავენ რომ ტექნიკურად ეს შეცდომა გაეპარათ რისთვისაც ბოდიში მოიხადეს. ასევე აღნიშნა რომ გამოსწორებადია ვინაიდან ელექტრული ტენზორები არ არსებობს და შესაბამისად ეს ტერმინი არასწორია. შრომის ბაზართან მიმართებით დაამატა, რომ გულდასმით იქნა რეკომენდაცია შერულებული შემუშავებულ იქნა შესაბამსი კითხვარი დაგზავნილ იქნა კითხვარი დახლოებით ორმოც ორგანიზაციაზე (საჭიროებისამებრ ორგანიზაციების ჩამოთვლის მზაობა იქნა გაცხადებული), ეთხოვა თითეულ ორგანიზაციას მონაწილეობა მიიეღოთ ამ გამოკითხვაში, გამოკითხვა წარმოებდა ელექტრონული ფორმით და გარკვეული დასკვნები პროგრამიაში შესრულდა, შრომის ბაზრის მოთხოვნები ასახულია მათი პროგრამების ცალკეულ სიალბუსებში, ერთერთი სილაბუსი რომელიც არის ელექტრული რხევები ითვალისწინებ სამედიცინო დაწესებულებებთან სიგნალების ვიზუალიზების საკითხების პროგრამებს და ექსპერიმენტარულ სამუშაოებში, აქ ადგულზე არის გათვალიწინებული ის პრობლემები, რაც წააწყდებათ ხოლმე. გარდა ამისა, დაემატა რხევითი სასწავლო კურსი სამედიცინო ვიზუალიზაციის შესახებ. მათან სწავლობენ დამამთავრებელი კურსის სტუდენტები, რომელთაგან ერთერთი გახლავთ ახლა სამხედრო პირი მისი ინტერესი სწორედ სიგნალების მონიტორინგი, დეტექტირება და პელენგაციაა, რაზედაც მისი მომავალი სამაგისტრო შრომა იქნება ორიენტირებული, ხოლო მეორე მათგანის ძირითადი არეალი სამედიციი მომართულებაა.

თავჯდომარემ მიმართა საბჭოს კითხვებისთვის.

საბჭოს წევრებს არ ქონდათ კითხვები სხდომაზე გამოცხადა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 17:50

დასრულების დრო: 17:55

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის “ფიზიკის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

- მომხრე - 10
- წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფიზიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

საბჭომ იმსჯელა სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის სამაგსიტრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის თაობაზე, საბჭო იყო ერთსულოვანი და მიიღეს გადაწყვეტილება წარმოდგენილი ანგარიში ცნობად ექნათ მიღებული. თავჯდომარემ მადლობა გადაუხადა ექსპერტს, ინსტიტუციას, წარმატებები უსურვა მათ ესეოდენ მნიშვნელოვანი საკითხის განვითარებაში.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2022 წლის 11 ოქტომბერს, 18:00 საათზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით